ავტობიოგრაფია

მე ნინო ჭაბუკიანი, დავიბადე 1992 წლის 21 თებერვალს ქალაქ ცაგერში. 2010 წელს წარჩინებით დავამთავრე ცაგერის N1 საჯარო სკოლა. იმავე წელს ჩავირიცხე სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე, რომელიც დავამთავრე 2014 წელს და მომენიჭა სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. 2014 - 2016 წლებში ვსწავლობდი შპს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამაზე, რომლის დასრულების შემდეგაც მომენიჭა მაგისტრის აკადემიური ხარისხი კერძო სამართალში.

2014 – 2015 წლებში გავიარე სტაჟირება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. 2015 წლის 22 მაისიდან 2015 წლის 14 დეკემბრის ჩათვლით, დანიშნული ვიყავი თბილისის საქალაქო სასამართლოს აპარატის სამართლებრივი და ორგანიზაციული უზრუნველყოფის განყოფილებაში სხდომის მდივნის დროებით შემცვლელად; 2015 წლის 15 დეკემბრიდან 2019 წლის 9 დეკემბრამდე ვმუშაობდი თბილისის საქალაქო სასამართლოს აპარატში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის სამდივნოს სხდომის მდივნის - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე. 2019 წლის 9 დეკემბრიდან მუშაობა განვაგრძე, თბილისის სააპელაციო სასამართლოში ადამიანური რესურსების მართვისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის სხდომის მდივნის - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე. 2022 წლის 23 მაისიდან დავინიშნე ამავე სამსახურის მოსამართლის თანაშემწის - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე სადაც ვიმუშავე იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ჩარიცხვამდე. 2023 წლის 18 მარტს ჩავაბარე მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციაში. 2023 წლის 11 ივლისიდან 2024 წლის 11 ნოემბრის ჩათვლით ვიყავი იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.

მყავს მეუღლე და ერთი შვილი.

ხელმოწერა:

თარიღი: 12.11.2024 წელი.